

1998

3 1998 ივლისი

ISSN 0132-6015  
ქრონიკალი  
ბიზლიროთეკა

# ჩვენ

აგს თუ ავი არ ვუწოდო,  
კარგს სახელად რა დავარქო?

სატირისა და იუმორის  
ჟურნალი

საიუბილეო ნომერი

# 75



— ჩვენო საყვარელო „ნიანგო“ გეყოფა ახლა, 75 წელი შეგისრულდა, შენც დაისვენე და ჩვენც დაგვასვენე!  
 — სანამ თქვენ იქნებით ამ ქვეყანაზე, რა დამასვენებს!

ნახ. ჯ. ლოლუასი



რაპი ჟურნალ „ნიანგის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან 75 წელი შესრულდა, მოდით ამ ნომრის პირველ გვერდს გადავხედოთ და ერთი წინადადება ვისესხოთ კიდეც, სადაც თეთრზე შავითაა დაბეჭდილი: „ბევრს ცხარე ცრემლებით აატირებს, მაგრამ სამაგიეროდ ბევრსაც გულიანად გააცივებს“. სიცილი რომ „ნიანგის“ იარაღია, ეს საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, ოღონდ აუცილებლად ჯანსაღი სიცილი. მოწინავე წერილის ავტორი გვარწმუნებს, რომ სახრესავით გასხეპილი სიტყვით, სატირისა და იუმორის ენით, დაუცხრომლად იღვაწებს თავისი ხალხის საკეთილდღეოდ. შესრულდა დაპირება? სი-

მართლე უნდა ითქვას, კაცური სიტყვა დღესაც

## რეალიზაციის ხიდი

ძალაშია. „ნიანგმა“ პირნათლად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. შესანსლა და შეახრამუნა ყველა ჯურის ანტიპოდი, ავაზაკი, წამგლეჯი, მუქთახორა, მექრთამე, ბიუროკრატია, მლიქვნელი და სხვა მრავალი გადაგარებული ადამიანი. „ნიანგის“ ჰიტლერსაც კი ემიზონდა. ტრადიცია არ უნდა დაიკარგოს. 1923 წლის 3 ივნისს სილიბისტრო თოდრიას თავკაცობით საქართველოში გამოჩნდა პირველი „ნიანგი“. შესაძლოა ბევრმა არც იცოდეს, რომ იგი მთაწმინდაზე იქნა დასაფლავებული. ჟურნალის სანაქებოდ და ჩვენს სატრაბახოდ უნდა ითქვას, რომ სარედაქციო კოლეგიის წევრები მუდამ გამორჩეული ადამიანები იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი ბელიაშვილი, ირაკლი აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, იოსებ ნონეშვილი, უჩა ჯაფარიძე, სიკო ფაშალიშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვები, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

დღევანდელობასთან შედარებით იმდროინდელი რედაქტორები ბეწვის ხიდზე გადიოდნენ. პატარა შეცდომა და ცეკას ბიუროზე ამოყოფდნენ თავს, ხოლო იქ თავის ამოყოფა რას ნიშნავდა, ეგ ყველამ კარგად ვიცით. ასეთ ქარცეცხლში გაიარეს გრიგოლ აბაშიძემ, კარლო კალაძემ, ვახტანგ ჭელიძემ, ელგუჯა მალრაძემ, ნიკო შველიძემ, ნოდარ ღუმბაძემ, ზურ-

ღან გემაზაშვილმა, ზაურ ბოლქვაძემ, აქაჩა მოთვლილი რვა რედაქტორიდან სამი ბეწვის ხიდიდან გადმოვარდა და კისერიც მოიტეხა. ამ მხრივ დღევანდელი რედაქტორები ტრიალ მინდორში არიან გასულები და როგორც უნდათ ისე გორაობენ. სამაგიეროდ, საშიშ ხიდზე გადიან არა მარტო რედაქტორები, არამედ მთელი კოლექტივი. ამ ხიდს რეალიზაციის ხიდი ჰქვია, ამ ხიდს საბაზრო ეკონომიკა ჰქვია, ამ ხიდს თავისა და თანამშრომლების შიმშილისაგან გადარჩენა ჰქვია, თანაც ისიც უნდა ახსოვდეთ და თანამშრომლებსაც უნდა შეახსენონ ხოლმე, რომ იუმორის გრძნობა არ დაკარგონ.

არ შემიძლია არ გავიხსენო გავჭირვებაში მყოფი ნოდარ ღუმ-

ბაძე იუმორს რომ მაინც არ კარგავდა: მოსკოვიდან მომავალ თვითმფრინავს მწერალთა დელეგაცია მოყვებოდა, მათ შორის ნოდარიც იყო. თბილისს რომ მოუახლოვდნენ და თვითმფრინავი დასაჯდომად გაემზადა, უცებ რაღაც შეზანზარდა. ატყდა განგაში, სტიუარდესების და ეკიპაჟის წევრების წინ და უკან სირბილი. ნოდარი საავრძელებში იჯდა და ყველაფერ ამას თვალ-ყურს ადევნებდა. შექმნილი მდგომარეობის გამო მოსალოდნელი პანიკის წინ სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი. სიჩუმე ნოდარმა დაარღვია: „ლოტჩიკ! თუ ძმა ხარ ეგ თვითმფრინავი პირდაპირ მთაწმინდას დაუმიზნე, აქ ვინცა ვართ, ყველას იქ გვინდა დასაფლავება და ბარემ იოლად გამოვალთ, „პრიამო ნა მთაწმინდუ“ – დაუმატა. დღევანდელი „ნიანგი“ იმ თვითმფრინავში ზის, მაგრამ მთაწმინდაზე დასაფლავების პრეტენზია არა გვაქვს. ჩვენი მოვალეობაა გადავრჩეთ და გავავრძელოთ შესანიშნავი ქართული იუმორის დიდოსტატების დატოვებული საქმე, წამოვავოთ ჩვენს ჩანგალზე ყველა უღირსი და ნაძირალა, ვაიპოლიტიკოსი თუ ვაიპატრიოტი, ქართველი ხალხის მეხსიერებაში აღვადგინოთ ჟურნალი „ნიანგი“ და ამ გზით გავიდეთ რეალიზაციის ხიდზე.

შანი სიხარულიძე

საქართველოს მწერალთა კავშირის  
თავმჯდომარე

„ნიანგის“  
უფროსი რედაქტორი

ძვირფასო ანა!

გირცხვად „სუქიანი ინიჩი“ დაეძინა 75-ე წლისაგ!  
ეს მახვილ სხეული სუქიანი ეხერა!

ხას და ამ სუქიანს წინაშე მანძილზე ვუცხოებოვას, იმ  
ვარს გადგას ესაძინა ნუ მომდის!


თუ ნუ-მეც სსოუხედას გაბნობდა და ამბობდა იუბოლის  
გაბნობს ბეძე, - სოფ-სოფს მს გაგაბნობდა!

ახლა, საიუბოლი დოვებში ვანსუქიანობა ამ ძვირფას ინი-  
ანიჩი“ - ნოღა! დუბნობეს და ზაღს ზურჯობს ამ ქვაყდარს  
ყდარივ წასვარე მხეღამე ვაღ!

მოხვანი, სხვა ათას სოფიანობს ეხარ, იუბოლის დო-  
რტობს იუბონ და ქრეფობდა!

აუღა! ღმრთობა სოფიანობ ავაღნიღ და მკვლელებ ვისხ-  
ნოღა!..

მქვანი  
თამარ ნიუნსუქ.



„ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75

„ნიანგის“ საიუბილეო სადღეობრივო

ფეხის ადგილიდან თუ ჩავთვლით,  
რაც გაეზნა, სულ იმ თავიდან,  
წელი სამოცდათხუთმეტი,  
ფაქტია, უკვე გავიდა.  
ხან მოხითხითედ მიცნობდნენ,  
ზოგჯერ მეძახდნენ მეხთამტეხს;  
ზოგს ქეც ვუყვარდი, მარა ზოგს  
გულზე სულაც არ ვეხატე.  
ეს კია, მხარში ვედექი  
გაჭირვებულს და ბოგანოს  
(არ გაგიკვირდეთ: ვიყავი  
პარტიის ცეკას ორგანო).  
ამფიბიებში არ მთვლიდნენ,  
კაცური ქული მეხურა,  
მონად არასდროს ვყოლივარ  
ბოლშევიკებს ცენზურას.  
„ჩემო ნიანგო“, „გვიშველე“ -

ასე მიხმობდნენ ნიადაგ-  
ვიბროდი, თანაც ვაწყობდი  
სიცილის ოლიმპიადას.  
მერე მძიმე დრო დაგვიდგა,  
არვინ გვირთავდა ნაძვისხეს,  
აუზში ხტომა გვასწავლეს  
და წყალი მერე ჩავვისხეს.  
ბევრმა თქვა „მოკვდა ნიანგი“  
თურმე სანთელიც ამინთეს,  
სინამდვილეში ხანგრძლივად  
და ნიანგურად ჩავვივინთე.  
გადავრჩი, თავისუფლების  
ბეჭედი ბეჭზე მარტყია,  
თუმცა ვერ დემოკრატია  
და სახელმწიფოც ბარტყია.  
მჯერა, ფრთებს მძაფრად დაიქნე,  
ჰა, ჩემი სიტყვის მახვილი,

არვის ენახოს დღეიდან  
ქართული დროა დახრილი.  
გვეშრომოს, თანაც გველხინოს,  
გვეცხოვროს სიცილ-ხარხარში,  
კაცს, უნამუსოს, ეხვნეშოს  
ნიანგის ხალვათ ხახაში.  
ჩვენს შორის დარჩეს, ერთს გეტყვი  
(თუ ძმა ხარ, ნუ გაგიუღებთ)  
შემოდგომაზე, ბანკეტზე,  
სოხუმში გეპატივებით.  
ბოლოს, ვისურვებთ უმაღლეს  
ზნეობრივ-ღვთიურ კათარსისს,  
სიცილის იუბილეებს  
შემდგომად წელის ათასის.

სადღეობრივო ჩაიწერა  
მამა თელია

საქართველოს  
მროვნული  
ბიბლიოთეკა

**6** იანგის ცრემლი არც ნაღლისა ვიცი და არც ჩვენი 75 წლის „ნიანგისა“, არც ის ვიცი, ის ნამდვილი ნიანგი რამდენი წლისაა. ის ნამდვილი ნიანგი - „დიდი ზომის ქვეწარმავალი, გავრცელებულია ტროპიკულ ქვეყნებში“

- ასე სწერია განმარტებით ლექსიკონში... ჩვენი „ნიანგი“ ქვეწარმავალთა წინააღმდეგაა გაჩენილი, მაშინ დაარქვა ნიანგი? არ ვიცი ვინ დაარქვა, მაგრამ ჟურნალი რომ ნაღლია, კარგად ვიცი. კარლო კალაძიდან ვიცნობდი „ნიანგს“, როცა მე და მისი შვილი გულდა კალაძე ვქეიფობდით, ძალიან ხშირად ჩვენგან ფულს არ იღებდნენ, არც იონა იღებდა ჩვენგან, ცნობილი მძღუქნე, მაგრამ ერთხელ გაბრაზებულმა გამოგვართვა ფული და თან დაგვაბარა, არ ველოდი მამაშენისაგან თუ ასე გავგწირავდით, ჩვენ ვერაფერს მივხვდით, სანამ „ნიანგი“ არ წავიკითხეთ, იქ ეწერა კარლო კალაძის ლექსი:

„მეხაშე გახდა იონა ცხოვრება გააიოლა.“

„თეთრ ღუქანში“ აღარ შევსულვართ.

პირველად სტუდენტობისას დაგვებჭდე „ნიანგში“ იუმორისტული ლექსები, იმათგან ერთი ტაეპი მთელმა ახალგაზრდობამ აიტაცა:

„არავგში ვართ, არა გვშივა,  
არა გვინდა რა,  
გალეშილნი გამოვდივართ,  
„არავგიდანა“.

იქ ჩემი მეგობრები მუშაობდნენ მუღამ. ჩემი ნოდარ ღუმბაძე, ჩემი ზაურ ბოლქვაძე, ახლაც ჩემები მუშაობენ, მადლობა ღმერთს, რომ უანი სიხარულით კარგად უვლის მოწყენილ „ნიანგს“.

ერთხელ ნოდარ ღუმბაძესთან შევიარე, ფული არა გვექონდა და ვუთხარი, ხელფასი ავიღია და წამო, პური გვაჭამეო. ხელფასი კი მაქვს, მაგრამ ნანულის დაურეკეთ და იმას სთხოვეთ, ისაა ჩემი ხაზინადარიო. მე დაურეკე და ვუთხა-

რი, ნანული, შენ ვოფილხარ ნოდარის „ხაზინადარი“, უთხარი, რომ პური გვაჭამოს მეთქი. იცინა ნანულიმ და მითხრა, თავის ცხოვრებაში არაფერს მეკითხება და ახლა რა ხაზინადარობა აუტყდა, კისერი მოგიტეხიათ სადაც გინდათ იქ წადითო. წავედი, პირველი სადღეგრძელო ნანული გუგუნავასი შევსვიო.


პარადია, 7 ნოემბერია და მე და ზაურ ბოლქვაძე ერთად ვდგავართ ტრიბუნასთან. მოდის ჯარი, ტანკი, ტექნიკა, ზაური სულზეა - როდის შეუბერავს ჩემთან ერთად. გაუთავებელი პარადის დროს ლექსად მითხრა:

„საქართველო ჩაუგდიათ ხელში წითელ აფიცრებს, ჩქარა, კონიაკი დაგვრათ, პისტი-დედას გაფიცებ! წავედით და დაგვკარით.“

ეჰ, რამდენის თქმა შემიძლია, მაგრამ ამის დრო ახლა არ გახლავთ.

მე „ნიანგის“ რედაქციას მივმართავ, ძვირფასო მეგობრებო, ძველებურად იმედგრეთ და ქვეშიდან არ გამოხვიდეთ, არ დაითრგუნოთ სხვათა იდიოტური სიმღერებით, თქვენ თქვენი გზა გაქვთ! დიახ, ატირებული ნიანგი მე არ მინახავს, არც გამიგია.

*ნიანგის  
სიყვარული  
ჯანსუკი  
სიყვარული.*




**ქართვის „ნიანგელო“!**

სუკით და ვუკით ვილოცავთ სხელოვან იუნიკლს - უყონ „ნიანგის“ 75 წლისთავს. ქართვი და აზერბაიჯანი ხელნი მუღამ იყვნენ და იქნებთან მეგობრობი და ძეგლი. სუფილისა და იუპორის უყონლი „კიოპი“ და „ნიანგი“ დაბადებდნენ დაძვირდნენ. მათი ერთობითა განსაკუთრებით გულმკვთა ქართვი ხელნი და აზერბაიჯანი ხელნი, საყვარელი ქართლისა და სამოღვრო მოღვანის ნოდარ ღუმბაძის უქვემოთა დროს. იმედია ჟონპაციან არასიქს დაიჭოვენ.

ვაშეთი, ვაშეთისათვის  
მთავარი რედაქციონი - *სუკითა სუკითა*

# მამა ზოობარკის დირექტორი მეგონა

დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ ჩემი უსაყვარლესი და მითუმეტეს, იუმორით სავსე „ნიანგელი ბიძიები“ არ მიწყენენ, ასე ხმამაღლა ალბათ ვერც გავბელავდი იმის გამხელას, რომ ძალიან დიდხანს, ყოველ შემთხვევაში იმ დღემდე, სანამ „ნიანგის“ რედაქციაში მამასთან მისმა მძღოლმა იაკობ ივანიჩმა მიმიყვანა, მეგონა, რომ მამა ზოობარკში მუშაობდა. წარმოიდგინეთ ჩემი იმედგაცრუება, როცა მისაღებ ოთახში უკეთილშობილესი და მომღიმარი დეიდა სონია დამხვდა, მამას ოთახში კი ზუსტად ის ბიძიები, რომელთაც ალბათ, დაბადების დღიდან ვიცნობდი. ერთხელ, მამასთან ერთად, ნამდვილ ზოობარკში, ნიანგის გალიასთან, გაოგნებულმა ვიკითხე – მამა, შენ ამის დირექტორი ხარ?!



ნიანგის წაკითხვა შეეძელი, გამიხარდა, რომ ბევრი რამ, რაც იქ ეწერა, მე უკვე მოსმენილი მქონდა. უფრო გვიან კი მივხვდი რა დიდ საქმეს ემსახურებოდნენ ჩემი მოხიბვითე „ნიანგელი ბიძიები“. ისინი ბევრჯერ მინახავს მამას კაბინეტში ნომრის მაკეტზე

მომუშავეები, საოცრად დინჯები და სერიოზულები.

თავს უფლებას ვერ მივცემ „ნიანგის“ როლსა და ღვაწლზე ვილაპარაკო. ალბათ ობიექტურიც ვერ ვიქნები. ერთი რამ კი თამამად და ყველას გასაგონად შემიძლია ვთქვა: „ნიანგის“ პერიოდი ჩემი ცხოვრების ის ნაწილია, რომლის გარეშეც არ იქნებოდა ცხოვრების ის წესი, რომლითაც მე და ყველა „ნიანგელის“ შვილი ვცხოვრობთ. არ იქნებოდა ის მოგონებები, რითაც ვსულდგმულობ და რომელთა გარეშეც სიცოცხლე აზრს დაკარგავდა.

გილოცავთ იუბილეს, თითოეული თქვენგანი მიყვარს, მიყვარს თქვენი განვლილი გზა და ახალი „ნიანგის“ მომავალიც. ბევრ რამეზე მწყდება გული, ბევრი დაამშვენებდა თქვენს იუბილეს, მაგრამ თქვენ, ჩემო „ნიანგელო ბიძიებო“, იმხელა და ისეთი თბილი გულები გაქვთ, მთელ საქართველოს გაათბობს.

ქაქიბიო ღუმბაძე

„ნიანგის“ გამო მამას ჩვენთვის არ ეცალა, „ნიანგის“ გამო მამა გვიან მოდიოდა. ჩემი და მანანას დაბადების დღეზე „ნიანგელები“ ქეიფობდნენ, „ნიანგის ბიჭები“ – ასე ეძახდა მათ მამა, – იყვნენ ყველგან და ყოველთვის. მე ვეჭვნიანობდი „ნიანგზე“.

ეს მაშინ იყო, როცა მე „ნიანგს“ როგორც სასაცილო ნახატებიან ჟურნალს ისე ვათვლიერებდი და ვერც მამაჩემისა და მისი მეგობრების ხუმრობებს ვერ ვიგებდი. უფრო გვიან, როცა კითხვა ვისწავლე და

„ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75

## ჟურნალ „ნიანგის“, სარედაქციო კოლეგიას და ჟურნალ „ნიანგის“ კოლექტივს

თქვენს ჟურნალთან არაერთი ტკბილ-მწარე მოგონება მაკავშირებს, როგორც ამ ჟურნალის ყოფილ რედაქტორს და თანამშრომელს.

გილოცავთ ჟურნალის დაარსებიდან საიუბილეო თარიღს და გისურვებთ ნაყოფიერ, ხალისიან შემოქმედებით მუშაობას ჩვენს დაძაბულ, ძალზე რთულ პირობებსა და დროში.

ელგუჯა მაღრაძე



„ნიანგის“  
ულოცავენ

# მატარებელი „გერმუდის სამკუთხედში“



(მოცალეობის უამს საპითხავი საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბ-ნ აპაკი ჩხაიძისა და სატრანსპორტო პოლიციის უფროსის ზურაბ ურუტაიასათვის)

ოცი წელი ჩამოითვალა, რაც სამსახურმა გორელი კაცი თბილისს დამაკავშირა, თითქმის ყოველდღიურად მიხდება მატარებლით მგზავრობა ამ ორ ქალაქს შორის. მეგობრები მეხუმრებიან კიდევ, - ძმაო, რაც შენ გიჩაქჩაქია, მთვარემდე ასჯერ ახვიდოდი და ჩამოხვიდოდი კიდევო. მთვარისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ტანჯვის გზებით სიარულმა თავისი დამართა!.. ძნელბედობის ჟამს, აი, არეულობას რომ ვეძახით, მატარებელში ხშირად გამოთევია დამე, ხაზზე ძაბვის გამორთვის დროს კი გრაკლის, ხანაც უფლისციხის სადგურიდან, ზამთრის სუსხიან ამინდში, მგლების ყმუილის აკომპანემენტით, თანამგზავრებთან ერთად, გორამდე ფეხით ჩავსულვარ. ისიც ვიცი, რამდენი შპალია ხსენებულ მონაკვეთზე, თავად მაქვს დათვლილი.

ეს მაშინ, კაცი ჩირად რომ ფასობდა, მაგრამ იმას, რაც დღეს, ე. წ. სტაბილურობის დროს ხდება „თბილისი-გორის“ მონაკვეთზე, ვინც თავად არ შესწრებია, ნამდვილად არ დაიჯერებს. რაღა რკინიგზის ეგ მონაკვეთი და რაღა „გერმუდის სამკუთხედი“. როგორც კი საგარეუბნო მატარებელი, „ელექტრიჩკას“ რომ ვეძახით, ტოვებს დიდუბეს და ავჭალისაკენ მიემართება, სამგზავრო ვაგონების ნამდვილი საარტილერიო დაბომბვა იწყება. ჩვენი მატარებლის მიმართულებით (ეს განსაკუთრებით ითქმის „თბილისი-ხაშურის“ მატარებელზე, რომელიც ბორჯომის ვაგონიდან 15 საათზე გადის) მოფრინავენ რკინის ვეება ნატრები, სიბი ქეები, კენჭებით გამოტენილი ლიმონათისა თუ შამპანურის ბოთლები (!) ცნობისათვის გეტყვი: ამ უკანასკნელის „ეფექტი“ იმაში მდგომარეობს, რომ მოხვედრისას სკდება და მასში ჩაყრილი კენჭები საფანტივით იშლება მთელ ვაგონში.

ძალზე ხშირად ამგვარი თავდასხმები სისხლიანი სცენებით მთავრდება, სახიზრდებიან და მახინჯდებიან მგზავრები, მათ შორის, ბავშვები, ქალები, მოხუცები. მთავარი კი მაინც ისაა, რომ სისხლიანი ვაკქანალიები უმთავრო დამით კი არა, დღისით, მზისით, ყველას თალწინ ხდება. მგზავრები, რომ-

ლებმაც უკვე ვიცით „სამიში ზონები“, ე. წ. „ტამბურებში“ გავდივართ, ირგვლივ სულ რკინაა და ვერც ქვა და ვერც ვერანაირი ლითონი ვერას დააკლებს. პრობლემა მარტო ისაა, რომ იქ ყველა ვერ დაეტევა. თვალნათლივ ვხედავთ პატარა ბორცვზე, ან სულაც ლიანდაგის გასწვრივ დისლოცირებულ სახეგაბრწყინებულ და თმებგაჩეჩილ მოზარდებს, რომლებიც თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, „ინსტრუმენტომარჯვებულნი“ ელიან ჩვენი მატარებლის გამოჩენას. ეფექტური შედეგით აღფრთოვანებულნი ერთი ლაზათიანად შეხტებიან და არც ფიქრობენ საიერიშო პოლიგონის დატოვებას, ანდა მიმალვას. აი, სად იზრდებიან მომავალი „ქილეუნი“.

შედეგი - ერთობ სავალალო. რამდენჯერ მინახავს სახედისიხლიანებული, თავგატეხილი მგზავრი. გასაკვირი კი ის გახლავთ, რომ ასეთ დროს მატარებელი არც კი ჩერდება და მიექანება მთელი სისწრაფით. მოშლილია ექსტრემალური რადიოკავშირი მემანქანებთან, მატარებელს არ გააჩნია საბუხრუჭე ონკანები, სანთლით ვერ მოიძვეთ სამედიცინო ყუთს... სექციაში მჯდარი ყოველი მგზავრი, გინდა თუ არა, ცოცხალ სამიზნეს წარმოადგენს, ბედისწერა კი ერთს, ან ორ სამსხვერპლოს ირჩევს.

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ოლიმპიური სიმშვიდით უმზერს ყოველივეს, ყურს არ აბარტყუნებს საქართველოს სატრანსპორტო პოლიცია. თუ დაიჯერებთ, სატრანსპორტო პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი „აცილებს“ კიდევ მატარებელს, მართლაც რომ მხოლოდ აცილებენ: მთელი გზა მოკალათებულნი არიან ვიდუ-სალონში, რომელიც შემადგენლობის ბოლო ვაგონშია მოწყობილი და პოლიგონის ტრაფარეტული სერიალებით ტკეპებიან. ზოგჯერ მომხდარის დაფიქსირებითაც კი არ იწუხებენ თავს.

საინტერესოა, რაში უხდინან ხელფასს ამ ვაი-პოლიციელებს?! ან თავად რკინიგზის დეპარტამენტს რატომ არ ენადვლება, მგზავრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დაზიანებული ვაგონები, ჩალეწილი მინები, განა მათი ღვიძლი საქმე არაა ზრუნვა მატერიალურ დანაკარგებზე და თუნდაც ქვის მსროლელთა მიერ დასახიზრებულ მგზავრთა მომსახურებაზე, მათსავე რეაქციებზე? ხომ ცხადია, რომ დაზარალებულნი ჯანმრთელობის აღსადგენად საკმაოდ სოლიდურ თანხას ხარჯავენ საკუთარი საოჯახო ბიუჯეტიდან. ეს ხდება მაშინ, როცა სოციალურად დღეს საზოგადოების უდიდეს ნაწილს ძლიერ უჭირს. განა არ არის ვალდებული ფინანსური დახმარება გაუწიოს ტრავმირებულ მგზავრებს იმ უწყებამ, რომელსაც ევალება მგზავრთა უსაფრთხო მოგზაურობის უზრუნველყოფა? სხვათა შორის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში საავტომობილო ტრანსპორტის თავკაცებს სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოყოფილი მანქანები ჩამოართვს მხოლოდ იმიტომ, რომ თურმე საზოგადოებრივი ტრანსპორტი ცუდად მუშაობდა. ჩვენ ხომ, ღმერთმა იცოდეს, მხოლოდ თბილისიდან გორამდე ცოცხლად ჩასვლას მოვიტხოვთ...

იქნებ ჯერ-ჯერობით, ბილეთთან ერთად მგზავრებს რკინის ჩაფხუტები დაგვირიგონ.

გაჟა შაქარაშვილი,  
„ნიანგის“ კორესპონდენტი



- ამდენს რომ მიმტკიცებ მართალი ვარო, კომპიუტერი რომ დაგაჯარიმებს მერე რა გეშველება?!  
- შენ რა გეშველება, თორემ მე ისევ მძლოლი ვიქნები!

თემა შ. სინბრულისა, ნახ. ირ. გორდელაძისა



# გახშირი სინდრომი



საქართველო  
ნიკოლოზი

თუ დღისით თბილისის ქუჩებს დააკვირდებით, აშკარად შენიშნავთ „წეროების სინდრომს“: მოძრავი მიკროავტობუსების, ე. წ. „მარშრუტების“, უსასრულო მწკრივს. თურმე ნუ იტყვით და თბილისში სამჯერ მეტი დასინილებს, ვიდრე მოსკოვში, რომელიც, თავის მხრივ, ათჯერ მეტია თბილისზე. ეგ კიდევ არაფერი – კახელებს უთქვამთ, თელავი რითაა თბილისზე ნაკლები, ეგაც ხომ სატანტო ქალაქი იყო თავის დროზეო და აკი იქაც გამოიკვეთა წეროების სინდრომი. ქუჩა-ქუჩა, შარა-შარა, ტრასა-ტრასა, ბილიკ-ბილიკ სად არ შეხვდებით მგზავრებით გამძებელ მიკროავტობუსებს, ოღონდ ეგ არის წეროებისაგან განსხვავებით, მათთვის არავითარი წესი და რიგი არ არსებობს, ვისაც როგორ გაუხარდება, სად გაუხარდება და როდის, ისე გაუტყვებს. ერთი სიტყვით, კახეთს კალეიბოვით შეესია მიკროავტობუსები. შეიძლება აქ ცუდი არაფერია, მაგრამ გეზსა და მარშრუტის ნომერს რომ თავი დავანებოთ, სადღაც ამხელა ქალაქში ერთი საერთო მოედანი მაინც უნდა იყოს მონიშნული, სადაც „მარშრუტით“ და საერთოდ, ნებისმიერი ავტობუსით მგზავრობას მოწადინებელი მოქალაქე სასურველ ტრანსპორტს დაიგულებს. როგორც ცნობილია, ასეთ ადგილს ყველა დასახლებულ პუნქტში „ავტოსადგური“ ეწოდება.

არა-და, უნდა დადგე და იმის გამოცნობაზე იმტვირო თავი, რომელ მძღოლს მოეგუენება შენი გზით წამობრძა-

ნება. რაკი ყველაფერი საჭეს მიმსხდარი „ბიზნესმენების“ ქეიფზე ყოფილა, არც იმის დაჯერება გაუჭირდება მკითხველს, რომ ამ სფეროში, კახეთის მხარეში, სრული განუკითხაობა სუფევს.

რა რეგისტრაცია, რის ლიცენზია, რომელი გადასახადი და ქვეყნის გაჭირვებაზე ფიქრი. მთავარია, რაც შეიძლება მეტი კლიენტები იმოვნო და დღის ბოლოს საგრძნობლად შეავსო ოჯახის ბიუჯეტი.

ისე არ გაივოთ, თითქოს რეგიონის თავკაცებს კახური სინდრომი არ აწუხებდეთ. შეიქმნა მუდმივობქმედი კომისია, ჩატარდა არა ერთი და ორი რეიდი, გამოვლინდა არა ერთი და ორი დამრღვევი და თავქეიფა მძღოლი, დაიწერა არა ერთი და ორი ოქმი და გადაეგზავნა სათანადო ინსტანციებს რეაგირებისათვის...

რაც შეეხება რეაგირებას... მოგეხსენებათ, კახელები დინჯი და ამწონ-დამწონი ხალხია, სანამ შეტყობინებას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება, „მარშრუტების“ არა ერთი და ორი ქარავანი ჩაივლის. არა-და, ცხადზე უცხადესია, რომ კახური სინდრომი გადაუდებელ მკურნალობას მოითხოვს: ღმერთმა ნუ ქნას და ემანდ მეტასტაზები არ გაუჩნდეს.

ალ. იმერლივილი,  
„ნიანგის“ კორესპონდენტი კახეთის ზონაში



პატივცემულო „ნიანგო“! სული არ შეუბერო, თორემ უსინათლოდ დგორებით!

**„ნიანგის“ ულოცავენ**

**სიამოვნებით** ვიგონებ იმ წლებს, როცა „ნიანგში“ კვლავ აღორძინდა ნამდვილი ქართული იუმორი - ლაღი, კეთილი, ფრთებგაშლილი, გაზაფხულის დღესავით ნათელი და სასურველი, მაღლიერებითა და სიყვარულით ვიხსენებ ხალასი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, რომლებიც ამ იუმორსა ქმნიდნენ - ნოდარ დუმბაძეს, ედიშერ ყიფიანს, გიგლა ფირცხალავას, ჯემალ ლოლუას, ნოდარ მაღაზონიას, არლი თაყაიშვილს, მურთაზ აბაშიძეს და რაღა თქმა უნდა, „ნიანგის“ განუყრელ და მარად ახალგაზრდა ძიძას, ქალბატონ სონია ციციშვილს... მათთან ერთად მუშაობა დიდი ბედნიერება იყო. გულოცავ „ნიანგს“ დაბადების 75 წლისთავს. ჭაბუკურ შემართებას ვუსურვებ.

პავტანბ ჭელიძე.



**ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციას**



გულწრფელად გილოცავთ „ნიანგელებო“ საუკუნის სამი მეოთხედი ცხოვრების იუბილეს - თქვენ, რომლებმაც თითოეული ჩვენგანის გაზრდაში გამორჩეულად დიდი წვლილი შეიტანეთ. ბეჭდვითმა პროდუქციამ საამო ღიმილიც მოგგვაროს და ამავე დროს, მწარედაც ჩაგაფიქროს არსებულ ყოფაზე, რთული და საპატიო საქმეა. როგორც პრაქტიკიდან ჩანს, ნებისმიერი პერიოდული გამოცემა იტანს თითოთროლა ნაკლებ პროფესიონალს. ვერ იტანს და ვერც აიტანა „ნიანგმა“, რადგან თქვენს რედაქციაში თითოეული მოღვაწე იუმორის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული და სატირის წკებლაც ეკავა ხელში. ნიშანდობლივია ისიც, რომ 75 წლის მანძილზე არაერთმა სცადა ალტერნატიული

გამოცემა დაეარსებინა, მაგრამ ისინი მხოლოდ დროებით არსებობდნენ, რითაც კიდევ ერთხელ და მერამდენედ ამტკიცებდნენ, რომ სატირასა და იუმორში კორნკურენცია არცთუ იოლი საქმეა და სულაც არა ჰგავს საღეჭი რეზინის ბიზნესში კონკურენციას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, „ნიანგელებო“, ამ თარიღს. მომავალში ცხოვრების გაუკეთესების პირობებშიც არ დაგკარგოდეთ სატირისა და იუმორის გრძნობა.

პატივისცემით

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე  
**აკაკი სიხარულიძე.**



ნახ. მ. აბაშიძისა

„ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75



## საიუბილეო მილოცვა „ნიანგს“

სამოცდათხუთმეტს გილოცავ, —  
 არც თმა გაკლია, არც კბილი,  
 თვალიც გიჭრის და კალამიც,  
 ვაჟკაცური ხმით გაჰკვივი!  
 ბევრჯერ დახურვას გადურჩი,  
 დათვლილი გქონდა წუთები,  
 მაგრამ ძირმწარე სიმართლე  
 არ დაგრჩენია უთქმელი!  
 ზოგჯერ წკიპურტებს მიბეჭდავ,  
 ზოგჯერ იგავს და სატირას,  
 გიგზავნი, რასაც კი ვპოვებ  
 სასაცილოს და სატირალს!  
 სხვა რა გისურვო, ძმობილო,  
 მუდამ მენახო მატებით,  
 მოგმატებოდეს სიმხნევე,  
 პონორარი და შტატები!  
 გამარჯვებული მენახო  
 ბედის ბორბალის ტრიალში,  
 და მოდებოდე სამშობლოს  
 განუსაზღვრელი ტირაჟით.  
 შენ სხვანაირი ხიბლი გაქვს,  
 თუმცა არასდროს მკვეზარობ,  
 მრავალ სამოცდათხუთმეტ წელს  
 გენიანგოს და გეხაროს!

ბურამ კლდიაშვილი



ნახ. ზ. კუციაძე

„ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75

## ბასაუბრება „ნიანგის“ ექსრედაქტრთან, ბატონ ნიკო შველიძესთან

**ბატონო ნიკო!** თქვენ 1959-65 წლებში რედაქტორობდით ჟურნალ „ნიანგს“. ამ პერიოდიდან რას გაიხსენებდით ყველაზე საინტერესოს?

- 35 წლის წინ ჩატარდა „ნიანგის“ პირველი იუბილე, როცა ჟურნალს 40 წელი შეუსრულდა, სხვათა შორის, ამ ზეიმს ესწრებოდა ბატონი კონსტანტინე გამსახურდია. ზეიმის კულმინაცია იყო ფუნიკულორზე მოწყობილი ბანკეტი, რომელსაც დიდი მჭევრმეტყველებით თამაშობდა სიმონ სხირტლაძე. ისე, თუ ბანკეტს აპირებთ, თამაშობას არ დაგამადლით!

კომუნისტების დროს პრესა შეზღუდული იყო, თუმც ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა, რა აზრისა ხართ დღევანდელ თავისუფალ პრესაზე?


- იმ პერიოდში რთული იყო რედაქტორისა და ჟურნალისტის მუშაობა.

როცა ნიკიტა ხრუშჩოვმა, ამერიკას გაჯიბრებულმა, ღორების გამრავლება განიზრახა, საკვებად სიმინდის უხვი მოსავალი დასჭირდა. სიმინდს „მინდვრის დედოფალი“ შეარქვა, ხოლო საქართველოში ჩამოსვლისას საგარეჯოელ გლეხებს ურჩია, დაბლობ ადგილებში ვენახის მაგივრად სიმინდი დაეთესათ, ვენახი კი გორაკებზე გაემუნებინათ. ბატონმა კარლო კალაძემ ამ „სიბრძნეს“ კარიკატურითა და ლექსით უპასუხა. ამას მოჰყვა ცეკას რეგარეშე ბიურო და ბატონ კარლოს მიერ სამსახურის დატოვება. სულ სხვა მდგომარეობაა ამჟამად, რესპუბლიკისათვის დიდი მონაპოვარია თავისუფალი პრესა.

ბატონო ნიკო! რას უსურვებდით „ნიანგს“ და მის მკითხველს?

- პირველ რიგში, ჩემს საყვარელ „ნიანგს“ და მის კოლექტივს მხურვალედ ვულოცავ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ კვლავაც შეუნელებლად ებრძოლოს ყოველგვარი მანკიერების წინააღმდეგ, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას.

„ნიანგის“ დავალებით ესაუბრა  
 ნანა ჯაჯანაშვილი



„ნიანგს“  
 ულოცავენ

**„ნიანგის“ ულოცავენ**

ერეკლესი  
ნიანგის

**მიტხარი** თუ ხარ „ნიანგის“ მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ. მტერი იყოს ნიანგის მეგობარი. მე „ნიანგზე“ მოგახსენებთ, ჟურნალზე და არა იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ დავასაბუთო, რადიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პრესაში უგულბებელყოფილ მართლწერის ელემენტარულ ნორმებს, არამედ იმიტომ, რომ „ნიანგს“ იუბილე აქვს და თუ ნამდვილი მეგობარი ხარ, უნდა მიულოცო.



გილოცავთ!

გილოცავთ და გისურვებთ ყველაფერ იმას, რასაც ჩვეულებრივ უსურვებენ იუბილარს, გულით რომ უსურვებენ, ისე.

ერთს მაინც განსაკუთრებით გაუუსვამ ხაზს – ტირაჟის გაზრდას გისურვებთ, რადგან ეს მარტო თქვენი გამარჯვება კი არ იქნება, არამედ ქვეყნის: ეცინებათ ქართველებს? ესე იგი, კარგად მიდის საქმე ქვეყანაში.

გილოცავთ, როგორც „ნიანგის“ მეგობარი და გულშემატკივარი და ახლა თქვენ გადაწყვიტეთ ვინ ვარ მე.

არმაზ სანებლიძე

„ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75

**საქართველოს** პარლამენტმა ამას წინათ ადამიანის ორგანოთა გადანერგვის პროექტი განიხილა, სადაც ითქვა, რომ ყოველ პიროვნებას აქვს უფლება გარდაცვალებამდე დატოვოს ანდერძი, თუ ვის აკუთვნებს თავისი სხეული ამა თუ იმ ორგანოს გადანერგვისათვის. ექიმები ერთხმად მიდასტურებენ, რომ ჩემი ყველა ორგანო ჯანმრთელია და უეჭველად გამოდგება გადანერგვისათვის. ამასთან, ვგრძნობ რომ მალე მოკვდები დღევანდელი საღუბჭირით შეჭირვებული, უსამართლობით შექრული - შეწრიალებული. ვტოვებ ანდერძს:

1. პენსიის მოლოდინში მუდამ ელეთ-მელეთი მომდიოდა, ხშირად ოთხი-ხუთი თვით მიგვიანებდნენ. ვისაც შევჩივლებდი, ყველანი ფინანსთა მინისტრს ადანაშაულებდნენ, რა ვქნათ, მუხლდაჩოქილი ვევედრებით, მაგრამ ფულს არ გვირიცხავსო. ამ ამბავმა დამარწმუნა, ფინანსთა მინისტრს ფული კი აქვს, მაგრამ გული არ გააჩნია. ჰოდა, ნებას ვრთავ, გადაენერგოს ჩემი გული, იქნებ გულმოწყალები და გულისხმიერი გახდეს, საბრალო პენსიონერებს ჩემს შემდეგ რომ მაინც ეშველოთ.

2. ელექტროუმუქობამ ჯვარს მაცვა. გაბრიჩიძეს და ზუბიტაშვილს კი ჩემი ტანჯვა ფეხებზე ეკიდათ, ამიტომ ერთ ფეხს გაბრიჩიძეს ვუტოვებ, მეორეს — ზებიტაშვილს.

3. სოფელ არგვეთში ჩემი მშობლიური სკოლა მიწისძვრამ დაანგრია 1991 წელს. ამ უბედურების შემდეგ

იქ მასწავლებლები თავიანთ მოსწავლეებთან ერთად მოცუტყუნულ ვაგონებში იჭუჭკებიან საცოდავად. პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის რეგიონში არგვეთელი ბავშვებისა და მათი აღმზრდელების გასაჭირს ვერ ხედავს. ვერც განათლების მინისტრი ხედავს.

ჩემი ერთი თვალი თემურ შაშიაშვილს გადაენერგოს, მეორე კი — თამაზ კვაჭანტირაძეს.

4. რაკი ჯანსუღ ჩარკვიანი ჯიგრიანი კაცია და ლექსებსაც წერს ჯიგრიანს, ჯიგარს (ღვიძლს) მას ვუტოვებ.

5. სახალხო პარტიისა და დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერები მამუკა გიორგაძე და ირაკლი წერეთელი ფიზიკურად დასუსტებულნი გამოიყურებიან, საჯარო გამოსვლებისას სუნთქვა არ ჰყოფნიან. ჩემი მარჯვენა ფილტი მამუკას გადაენერგოს, მარცხენა — ირაკლის.

6. ამბობენ საქვეყნოდ ცნობილ რაინდს, „სანიტარული მატარებლის“, „ლიმონათის ქვეყნის“, და „მესამე განზომილების“ ავტორს ჯაბა იოსელიანს კუჭის წყლული აწუხებსო. გადაენერგოს ჩემი კუჭი, ოღონდ დაწეროს კიდევ ერთი რომანი „კუჭისტების ქვეყანა“.

7. ჩემი სხეულის ყველა დანარჩენი ორგანოები, რასაც აქ ვერ დავწერ, განეკუთვნოს იმ ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც ქადაგებენ ქართულ პასპორტში „ეროვნება“ არ აღინიშნოსო.



ნოდარ შამანაძე

- ქალბატონო ქსენია, უმორჩილესად  
გთხოვთ თქვენი ქალიშვილის ხელს...  
- მასთუ იცით თქვენ... ჯერ ხელს ითხოვთ  
და მერე მთლიანად მიგყავთ ხოლმე...

- ათი ლარი? აბა, რისთვის მოვედი? - იმ  
ოცდაათიდან ათს დაგიბრუნებ და ოცი-და  
დამრჩება!

\*\*\*

- მასკარადზე  
ქალი საიდუმლოდ  
ეჩურჩულება მო-  
ცეკვავე პარტნიორს:

- მე შენ გიცანი... ჩემი ქმარი  
ხარ - პორფილე.

- საიდან მიხვდი შე შეჩვენებულო? -  
გაუკვირდა პორფილეს.

- ადეკალონის სუნზე... შენს მეტი ვილა  
ხმარობს „ტრაინოის“?!

\*\*\*

- თუ ძმა ხარ, 30 ლარი მასესხე.

- თუ არ ვცდები, დღეს შენ ძველი ვალი  
უნდა მოგეტანა.



\*\*\*

- მამიკო, ლომის  
გალიაში რომ ხე-  
ლი შეეყო, მიკ-  
ბენს?


- არა, მამიკო,  
ასდოლარიანს ჩავი-  
დებს ხელში!

### სასტუმროში

- უკაცრავად, მეგობარო, ძილში ლაპარაკი  
ვიცი და წუხელ ხომ არ შეგაწუხეთ?

- რას მეუბნები! მე მეგონა ანეკდოტებს  
მიყვებოდი და მთელი ღამე ვხარხარებდი...  
ზრდილობის გულისათვის!..

მურმან მერკვილიშვილი



ნახ. ა. აბაშიძისა

— არ უნდა გეთქვა რა დაჯდა მკურნალობა, ხომ ხედავ ინფარქტმა გაუშეორა!

ნახ. ა. პრაპისა

საქართველო  
შპს „საქსტატი“



უ

„ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75

## ძმაო „ნიანგი“!

ამას-იამასობაში შენც კი შეებრებულხარ. კი არ ვიცი, ნიანგისთვის 75 წელიწადი ცოტაა თუ ბევრი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მისთვის მთავარი ბასრი კბილებია და შენ ჯერაც დანტისტი არ დაგჭირვებია. ღმერთმა ნურც დაგაჭირვოს, თორემ უკბილო ნიანგი რა ნიანგი უნდა იყოს?

იყო დრო, შენი წითელი წიგნაკის გამოჩენა მაშინდელ — უბრალოდ ვთქვათ — უწესოდ გამდიდრებულთ ისეთ ზარს სცემდა, როგორც მდინარეში მოცურავეს ცოცხალი ნიანგის დანახვა. დღევანდელ იმავე მდგომარეობის ხალხს, განურჩევლად „ბიზნესმენებს“ რომ უწოდებენ თავს, წიგნაკის კი არა, მამალი მგლისა არ ეშინიათ.

მაგრამ არც შენ ხარ ჯაბანი!  
მიდი, შენებურად, ძველებურად გაუელვე კბილები, თანაც წვრილ-წვრილ ლიფსიტებს კი არა (ჭამად არ ღირს, წვრილი ფხა ყელში გაგეჩხირება) დიდ-დიდ ღლავეებს, დიდ მტაცებლებს.  
არ მითხრა ახლა, მასეთებს დიოგენის ფანრით ვერ ვპო-

ულობო. ვაი, რომ ღლავეებით სავსეა ქვეყანა. ხელი რომ გაიქნियो, მტაცებელს მოხვდება.

უფრო სწორედ, ჩვენ გვხვდება და გვაზიანებს მათი აშვებული ღაფუნო.

მაგრამ ჩვენ ძველებურად, დონკისოტურად „რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახურით“.

გამოვა რამე, ხომ კარგი, არ გამოვა და, მაინც ტყუილად დგომას, ტყუილად შრომა სჯობს.



სიყვარულით ნარბიჯა მგებლად

„ნიანგის“  
75  
უღლოცავენ

„ნიანგის“  
ულოცავენ

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

# 75 წლის ლომს, ჩემს უფროს ძმას „ნიანგს“

„უსაზღვრო“ მადლიერების გრძობით გესალმები და გეფერები იმის გამოც, რომ სწორედ შენს ბუნაგში ავიდგი ფეხი, როგორც „გოგია წარბა“ და ხომ ვახსოვს, როდის? თვით ნოდარ ღუმბაძის დროს - უფრო მეტიც, ბანი ნოდარი რომ ვერ კიდევ არ გრედაქტორობდა და „ჯვებზე ღუმბავას“ ფსევდონიმით წერდა.

ა, რას იტყვი, მეც ხომ კაი ხნის ვყოფილვარ? ნოდარიზე უფროსი ხუთი წლით იყავი, იგივე ჩემზე სწორედ ამდენივე ხნით იყო უფროსი და ქე გამოვედი სამოცდახუთის.

ბედნიერი პერიოდი გეკონდა 50-60 წლების მიჯნაზე. დაუიწყარი მოსე ქარჩავა და ლიმილიანი კუხალა (მიშა კუხალაშვილი) გვიხსნიდნენ ყოველ დღით ამ ბედნიერების კარებს.

„გოგია წარბა“ გემასსოვრება ვინც შემარქვა. მანდვე, ერთი სართულით ზემოთ, რომ ერთი ჩვენი კოლეგა, მშვენიერი ქალი მუშაობდა, იმან შემარქვა, მაგრამ რად გინდა! ერთხელ ქუჩაში მდგომს მანქანით ჩამოხარა, თვითონ უჯდა საჭეს (ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც თბილისელი ქალებიდან მანქანის ტარება დაიწყო), გააჩერა და მითხრა, რა ექნა, ვერ ჩავსვამ, ქმარს ეტყვიან და იეჭვიანებსო. მითხრა და არ დაგაზა, იმ ჩემი ცოდვით სავსემ? გაგიჟდა რა „სავსემ“, გავიფიქრე, მაგრამ ქალებს რას გაუგებ, მე და ჩემმა ღმერთმა. იმაზედაც მადლობელი ვარ, ეგეთი ფსევდონიმი რომ „გამიჩალიჩა“... მას მერე სულ შენთან ვიყავი, სანამ ზაურ ბოლქვაძე არ მოიწვიე მთ. რედაქტორად. გამიზარდა, კიდევ ერთი დიდი გურული განიანგებულა-მეთქი, მაგრამ გაგიგონია? მივართვი ჩემი ახალი, კვებურთელა წიგნი „ლენინი და კინოს საკითხები“. ახედა, დახედა, გადაფურცლა, გადმოფურცლა და მირჩია, გადასარევი წიგნი დაგიწერია, მაგრამ სათაური არ ვარგა, ამას „გოგი ღოლიძე და კინოს

საკითხები“ უნდა ერქვას, რადგან ძია ლენინს კინოზე არაფერი უთქვამს...

რომელ მთ. რედაქტორს შეაგნებინებ რამეს, ზ. ბოლქვაძე რომ გამონაკლისი ყოფილიყო. ავდექი და მის ჯინაზე ასეთივე სათაურით გამოვეცი ეს წიგნი რუსულ ენაზეც.

მერე კი მიხვდა ზაური თავის „შეცდომას“, მაგრამ ვლადიმერ ილიჩის „გაიმასქნება“ მაინც ვერ ვაპატიე... ბოლოს ჩემს შემოსარიგებლად, 60 წლის-თავის საიუბილეო ლექსი მომიძღვნა, საკუთარი ხელით გადაეწერა და გამომიგზავნა. ა, რა მექნა, არ შევრიგებოდი?! და ორმა „დიდმა გურულმა“, როგორც თავად იტყოდა ხოლმე, „ყელი ყელსა გადავჭლეთ...“


ახლა შენს საიუბილეოდ გაახლებ „ნიანგის“ ბლანკზე თვით ავტორის მიერ დიდი სიყვარულით გადაწერილ ამ ლექსს, ანუ შესანიშნავი ქართული პოეტიკისა და მოღვაწის ზ. ბოლქვაძის ავტორაფს (ცხადია, ქსეროსლს, რადგან დედანი უძვირფასესი რელიქვიაა ჩემთვის და უფრო უძვირფასესი იქნება ჩემი შთამომავლობისთვის) და თუ გამოაქვეყნებ, ნამეტანი კაი, თუ არადა, ამით ნამდვილად არაფერი დააკლდება ჩვენს ძმობას. რადგან 10 წლით ხარ ჩემზე უფროსი, მაგრამ 10 წლის მერე მეც ხომ ვიქნები მაგ ხნის, შე „ნიანგო“, შენა!

75 წელი სიბრძნის ასაკია მხოლოდ და შენი მახვილი თვალი და კბილი ახლა უფრო ჭირდება ჩვენს ქვეყანას. მარად შენი ძმა და მეგობარი.

გოგია წარბა (გოგი ღოლიძე)



„ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75 „ნიანგის“ - 75




ეს რამდენი ნაბიჭვარი გაშჩენია?!

თემა ნ. იოსებაძის, ნახ. ჯ. ლოლუასი

„ნიანგი“ ულოცავენ

# „ნიანგი“ უნდა აღორძინდეს!



მე და ჩემს რამდენიმე მეგობარს ჟურნალ „ნიანგთან“ საუკეთესო მოგონებები გვაკავშირებს. „ნიანგი“ და ქართული მწერლობა მუდამ ერთად იყვნენ და ეს ქმნიდა სასურველ ნიანგს, რათა სატირულ-იუმორისტულ ჟურნალს, მძაფრი პუბლიცისტური და კრიტიკული პათოსის გარდა, გამოკვეთილი ლიტერატურული იერსახე ჰქონოდა. ამ გარემოებას, სხვათა შორის, ისიც განსაზღვრავდა, რომ სხვადასხვა დროს „ნიანგის“ რედაქტორებად მუშაობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები. ამ გარემოებამ ავტორიტეტი შეუქმნა ჟურნალს, სასარგებლო, ჭეშმარიტად სახალხო, მიმზიდველი საკითხავი გახადა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ჯერჯერობით, დიდი დაბრკოლებები შეუქმნა კულტურას, მწერლობას, აქედან გამომდინარე, „ნიანგსაც“. კატასტროფულად დაეცა ტირაჟები, მაგრამ ნამდვილი საცოდაობა იქნება, ახლა, როცა ნანატრი თავისუფლება გვედირსა და ყველაფრის დაბეჭდვა შეიძლება (ზემოდან მიმთითებელი და რაიმეს დამშლელი ადარავინ გვყავს), ხალხის საყვარელმა ჟურნალმა ღირსეული არსებობა ვერ განაგრძოს.

ცნობილია, როცა ერთი იუმორის გრძნობას, ჯანსაღი სიცილის უნარს კარგავს, იგი კვლამას იწყებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა, დიდი ვაჟას თქმისა არ იყოს, ჩვენს მშვენიერ ჟურნალს „ახალი სული ჩაედგას“, თვისობრივად გადახალისდეს, დადგეს ის ჟამი, როცა მთელი საქართველო მოუთმენლად დაელოდება მისი ყოველი ნომრის გამოჩენას.

დიდი იმედი მაქვს, ახალ მესვეურთა მოწადინებითა და საერთო თანადგომით, ჟურნალი „ნიანგი“ აღორძინდება, მისებურად შეებრძოლება ირგვლივ მოძალებულ უკეთურებას, კვლავაც არაერთხელ გაახარებს თავის მკითხველს.

იოჰანარ კვიციანიშვილი

„ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75 „ნიანგი“ - 75

ჩალაუბნის აღმართს რომ შეუდგები, უკვე იცი, რომ ჩქარა შიდა კახეთში გადასვალ. სიღნაღის გადასახვევთან დარბაისლურად თავს დაგიკრავს კაკასიონი. მერე ბარჯის ხევის მიხვეულ-მოხვეულ თავდაღმართზე დაეშვები და უკვე ალაზნის გამლილ ველზე ხარ, შიდა კახეთში.

აღმართის გზა ფართოა, თან ისე იოლად დამრეცილი, რომ სამოცი წლის კაცი, ხურჯინგადაკიდებულიც კი, სულ ღიღინით აივლის. შარავზის პირას მიწის ვიწრო გზაზე ვირის ურემი გაჭირვებით მიუყვება აღმართს. ურემს რკინის ბორბლები ერთი დიდი ქონდა, მეორე პატარა, დიდი ბორბალი დეფორმირებული იყო და ურემიც ჩლახუნ-ჩლახუნით ძლივს მიგორავდა. ზედ ელაგა რამდენიმე სიპი ლოდი, კუნძი, ფიჩხი, ორი სავესე ტომარა, თვითონ მეურმეც, ასე 45 წლის კაცი, კოფოზე წამოსკუპებულიყო და დროდადრო სახრეს გადაკრავდა ხოლმე ისედაც გაჭირვებულ სახედარს.


## კახურ იუმორს გაუძარჯოს!

მანქანის სვლა შევანელე და ურემს გავუსწორდი.  
- კაცო, არა გრცხვენია, ეს ამოდენა რამე მაგ ურემზე დაგიყრია და თვითონაც ზედ წამომჯდარხარ? - შევუძახე მეურმეს - აბა, შეხედე პირუტყვი რა დღეშია, ძლივს მიგათრევთ... ვირი ეგ კი არა, შენა ხარ!  
მეურმემ ცერად გადმომხედა, ვირს სახრე გადაჰკრა

და შეუძახა:  
- აცე, ვირო, ახალი ბიძაშვილი გამოგიჩნდა!..  
რაღა უნდა მეთქვა? ორივე ბეჭზე დამახეთქა, რამის თქმა უმწეო ფართხალიღა იქნებოდა. უხმოდ მოვუმატე მანქანის სვლას და გავეცალე. მელაანთან გზისპირა სახლთან მანქანა შევაჩერე, შევისვენე, კაკასიონის თეთრ ჯიდა დადგმულ წვეროებს ავხედე.  
- რა უსაქმურად დგეხარ, კაცო, მანდა, მაიტა შიფერი

მაინც მომაწოდე! - ჩამომძახა ვიღაცამ სახურავიდან. თუშურქედგვერდზემოგებული ახალგაზრდა კაცი მშვენიერი სახლის ეზოს ბოლოში ბოსლის სახურავსა ხურავდა. უსიტყვოდ ავაწოდე შიფერი.  
- ჰაი, დედასა, მაშ იმ ამერიკელ მზეთუნახავს შიფერი უნდა ერქოს და ჩემ სიდედრს ვარდუა?! მაიცა, არ წახვიდე, ეს ბოლო იყო, ჩამოვალ და კარგ ღვინოს დაგალევივინებ...

ყოჩაღმა, ტკრციალა დიასახლისმა რამდენიმე წუთში გაგვიშალა მშვენიერი სახელდახელო სუფრა.  
- აბა, გაგვიმარჯოს, - ჭიქა ასწია მასპინძელმა, ძირამდე გამოსცალა, მერე წითლად გაღუებულები, ზორბა პამიდორი აიღო და გაკბიჩა, პამიდორმა ისე გაასხა აქეთ-იქით, რომ ერთიანად ჩამომწუწა.  
- რა ქენი, კაცო, ესა... წავიბუზღუნე.  
- ჰო, პამიდორმა ეგრე იცის! - გაიკრიჭა ჩემი მას-



# „ნიანბი“ ვადლოპას უხდის

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

პინძელი. - ამას წინებზე, უცხოელები მომადგნენ კარზე... - სიტყვა გააგრძელა და თან ღვინო დაასხა. აბა, ჩვენ ოჯახებს გაუმარჯოს!.

სიამოვნებით გადავკარი დიდებული ღვინო. მეორე ხელადა ძირამდე დავიყვანეთ, რომ მეზობლიანთა რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა. ჩვენმა დიასახლისმაც მოირბინა.

- თქვენთან კი ბოდიში... მიდი, კაცო, მგონი თელუა კვდება!

ორივე იქითკენ გავეშურეთ. კარგა მოხუცი თელო მართლა ვერ იყო კარგად. - ჩემ შვილს... გაიოზას დაუძახეთ, - მისუსტებული ხმით მოითხოვა ავადმყოფმა.

ერთი ბრგე, ახალგაზრდა კაცი მივიდა და საწოლთან გაუჩერდა.

- შვილო გაიოზ, - ამოიკენეს ავადმყოფმა. - აი, ყველაფერს შენ გიტოვებ, ამ ორსართულიან სახლსაც, ვენახსაც, მანქანასაც, აბა, შენ იცი...

- კი არ მიტოვებ, თან ვერ მიგაქ! - სიტყვა გააწყვეტინა გაიოზამ. თელო გარდაიცვალა. ატყდა წივილი-კივილი. გაიოზა „მიდგა-მოდგა“.

- პური გამააცხეთ? - იკითხა მან.

- ჰო, თადარიგი დავიჭირეთ, - უპასუხა ალბათ ცოლმა.

- საკლავი დაკალით?

- მაშ, კაცო! - ითაკილა ალბათ ბიძაშვილმა.

- ღვინო ამაიღეთ?

- მა არ ამოვიღებდით? - უპასუხა ვიღაც ახლობელმა.

- მა რაღა გატირებთ?! - გაწყრა გაიოზა და გარეთ გავიდა.

ჩვენც გამოვედით.

- ძალზე უცნაური კაცია ე გაიოზა, - ჩაიცინა ჩემმა მასპინძელმა. - იმ დღეს ყვაფი დაეჭირა სადღაც, მაიყვანა, ძალით გაუღო ნისკარტი და ერთი ყლუპი ორნახადი ჭაჭის არაფი ჩაასხა...

- მერე? - დავინტერესდი მე.

- რა მერე, ყვაფა ერთი მწარედ დაიჩხვლა და ფეხები გაფშიაკა. ჰოდა, გაიოზა ეუბნება: „გეტირა დედა, მამაჩემსაც რო არ ესვა ეგა, ისიც იცოცხლებდა სამას წელიწადსო“.

სიცილი ძლივს შევიკავე. ორღობეში ისევე ის ურემი მოჩლახუნებდა, მე რომ შემხვდა აღმართზე. კოფოზე წამომჯდარმა მეურმემ ღიმილით გადმომხედა.

- რა იყო, კაცო, რა უსიტყვეოთ გამაიქეცი, ერთი წესიერი გამარჯობაც არა თქვი. ხომ არ გეწყინა?

არ მეწყინა, ძმებო კახელებო, არა!

ზ. გეგაზაშვილი



ჟურნალი „ნიანბი“, №3 (1898)  
ივლისი, 1998 წ.  
გამოდის 1923 წლის ივნისიდან

მთავარი რედაქტორი ბექან სინარულიძე

სარედაქციო კოლეგია: მურთაზ აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ვახტანგ დონნაძე (ტექნიკური რედაქტორი), რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი). რევაზ მიშველაძე, ჯემალ ქარაზანიშვილი, ლერი ჩანტლაძე (ლიტერატურული რედაქტორი) ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ნიწნივაძე.

ხელმოწერილია დასაბუჭდად 25.06.98; ფორმატი 60X84 1/8; სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 2; შეკვ. № 855; ტირაჟი 3000; გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ; რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ; რეგისტრაციის №4/4-1263.

რედაქციის მისამართი: 380008. თბილისი - 8; რუსთაველის პროსპექტი №42.  
ტელეფონები: 93-19-42, 99-55-54, 93-49-32.

ინდექსი 76137 ფასი 60 თეთრი

მეგობრული მარჯების ავტორები არიან  
ბ. შინკარაძე, ბ. დერგოვიშვილი,  
ჯ. კანტალიანი

